



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომის**

**ოქმი №4**

ქ. ლანჩხუთი

17. 04. 2019 წელი

**ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:** სხდომის თავმჯდომარე ვლადიმერ ნანაძე (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით), საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრევლები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო მიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები:** მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

**სხდომის თავმჯდომარემ, ვლადიმერ ნანაძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ოთხი საკითხი და მოუწოდა ბიუროს წევრებს დღის წესრიგის პროექტს დამატებოდა ეს საკითხები. ასევე დღის წესრიგით განსაზღვრული რიგით მეორე საკითხი „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე, გადაეტანათ მეცხრე საკითხად.

**მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

სხდომის თავმჯდომარემ, **ვლადიმერ ნანაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/*

2. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი ვ. კვიციანი/*

3. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში,

ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი ვ. კვიციანი/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

*/მომხსენებელი ვ. კვიციანი/*

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ნაჭყებია/*

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის მარტის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ა. სარიშვილი/

/თანამომხსენებელი რ. ლაშხია/

10. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

**საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 25 აპრილი, 11:00 საათი.**

**მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა. მისი თქმით, ზემოაღნიშნული დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მიზანშეწონილია შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

1). დადგენილებით დამტკიცებული წესის მე 4- მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.“

„ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა-განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან დასკვნა. მართხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. გადაწყვეტილება მიიღება მერის იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.“

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. განცხადებების განხილვა

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე 4- მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე

იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი; მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი; მერიის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით(ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.“

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.
- 2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
- 3) დადგენილების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

**სხდომის თავმჯდომარემ, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა

და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრი ამირან გიგინეიშვილი და საკრებულოს დეპუტატები შემოვიდნენ წინადადებით-სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე, რათა უკეთ იქნეს შესწავლილი აღნიშნული საკითხი. ამ სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარედ მოიაზრება ამირან გიგინეიშვილი, სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეს მიაღებს მათ აფხაზავა. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ასევე მოუწოდა საკრებულოს წევრებს სურვილისამებრ გაწევრიანდნენ ამ ჯგუფში, ხოლო ამ საკითხზე მომხსენებელი საკრებულოს 25 აპრილის სხდომაზე იქნება ამირან გიგინეიშვილი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს–„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
- 3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი ამირან გიგინეიშვილი.

**სხდომის თავმჯდომარემ, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ. მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში უნდა შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნას განკარგულების პირველ მუხლის „ბ“ პუნქტი (თორნიკე ტიკაძე - კომისიის წევრი).

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
- 3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

**სხდომის თავმჯდომარემ, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის



შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ. მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში უნდა შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნას განკარგულების პირველი მუხლის „ვ“ პუნქტი (თორნიკე ტიკაძე - კომისიის წევრი).

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
- 3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი.

**სხდომის თავმჯდომარემ, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი

განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 26 მარტის N2215 განცხადებით მომმართა ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-ს (ს/კ 433642356) დირექტორმა ციცო ჩხარტიშვილმა, რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე 747 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განლაგებული 108, 68 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.086) ) უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-ს, რომელიც ემსახურება 6-18 წლამდე ასაკის 24 ბენეფიციარს, ქუჩის რისკის მქონე ბავშვს და ხელს უწყობს, მათ სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ასევე ის ახორციელებს მისთვის წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას. აგრეთვე პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
- 3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

**სხდომის თავმჯდომარემ, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 8 ბიუროს წევრი.**

**მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხი:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის მარტის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ საკითხი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან განმარტა, რომ 2019 წლის მარტის თვის ბიუჯეტის საკასო შესრულება შეადგენს 485252.89 ლარს, ხოლო მთლიანად შესრულება ნაზარდი ჯამით შეადგენს 1793701.82 ლარს, რაც წლიური გეგმის(9491700) 18.9%-ს შეადგენს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ დონე წინა თვესთან მიმართებაში შენარჩუნებულია და დაცულია ძირითადი მიმართულება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის წლიური გეგმა შეადგენს 2322815 ლარს, ხოლო მარტის თვის საკასო შესრულება შეადგენს 18300 ლარს.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის მარტის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

**სხდომის თავმჯდომარემ, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების მოწონების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის №120 დადგენილების შესაბამისად“

განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილი აქვს 2019 წელს განსახორციელებელი პროექტების ნუსხა:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში ამბულატორიის რეაბილიტაცია-20 000 ლარი.
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანაში ამბულატორიის რეაბილიტაცია-25 000 ლარი.
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოთში ამბულატორიის რეაბილიტაცია-25 000 ლარი.
4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში ამბულატორიის რეაბილიტაცია-25 000 ლარი.
5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში ამბულატორიის მშენებლობა 72 416 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

- 1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
- 3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე.

**სხდომის თავმჯდომარემ, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.**

## მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

**დღის წესრიგის მერვე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აპრილის N773 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 110000 ლარი ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციისათვის.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აპრილის N789 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 499402 ლარი, თანადაფინანსება შეადგენს 37591 ლარს. სულ პროექტების ღირებულება შეადგენს 536993 ლარს, რომელიც მიიმართება ქალაქ ლანჩხუთში ქუჩების რკინა ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად.

მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიმდინარე წლის 16 აპრილის N633 წერილის მომართვის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს განათლების ღონისძიებების (პროგრამული კოდი 0403) ხარჯი 1600 ლარით.

ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების 37291 ლარი და განათლების ღონისძიებების 1600 ლარით დაფინანსება განხორციელდეს წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის მუხლის 38891 ლარით შემცირების ხარჯზე.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

**სხდომის თავმჯდომარემ, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის მეცხრე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებით 2018 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 8757600 ლარით, საფინანსო წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა ათი ცვლილება და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 20250615 ლარი. მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 16984817 ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 252207 ლარით აღემატება. წინა წელთან შედარებით (101,5%-ით), აქედან გრანტის სახით მიღებულია 13337218 ლარი, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 6238600 ლარი, წინა წელთან შედარებით 884400 ლარით მეტი, მიზნობრივი ტრანსფერი 220000 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები 4515103 ლარი, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებაზე 2262310 ლარი, ასევე სტიქიის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საფინანსო წლის განმავლობაში მიმართულია, 2017 წელში ამ დანიშნულებით ჩამორიცხული 1259104 ლარი. საფინანსო წელში შემოსავლების (კაპიტალურის ჩათვლით) სახით მიღებულია 3647598 ლარი, რაც 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 1078064 ლარით. საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებულია 443789 ლარი, რაც გეგმის 98,6%-ს შეადგენს, ქონების გადასახადის ფაქტიურმა შემოსავლებმა 1993754 ლარი შეადგინა, გეგმა შესრულებულია 122,5 %-ით, მათ შორის საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) 438961 ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) 858324 ლარი შეადგინა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი შემოსულია 174779 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 502679 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 1021622 ლარი, გეგმის შემოსავლები შეადგენს 116,6 %-ს, აქედან მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 135843 ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან 14087 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოსულია 9063 ლარი, რაც რეალობას არ ასახავს, ამ კუთხით მთელი რიგი ღონისძიებებია გასატარებელი, კერძოდ პირველ რიგში შესწავლილი უნდა იქნეს თუ რა ფაქტორები უშლის ხელს მოსაკრებლის ბიუჯეტში სრულად შეტანას. ჯარიმები, სანქციები და საურავები მიღებულია 767111 ლარი, არაფინანსური აქტივების კლების შემოსავალმა 188434 ლარი შეადგინა, საფინანსო წელში განხილული იქნა 18573435 ლარის ხარჯი, აქედან მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიიმართა 9841879 ლარი გაწეული ხარჯების 53,0 %-ია, სუბსიდირებისათვის (ა.ა.ი.პ-ბის და შპს-ეების) სახით ჩაირიცხა 5580733 ლარი ხარჯების 30,0 %-ი, შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1718416 ლარი, მიმდინარე ხარჯების 19,7 %-ი, შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე 150763 ალრი 1,7 %-ი, მივლინების ხარჯებზე 11051 ალრი, ოფისის ხარჯებზე მიიმართა 201825 ლარი ხარჯების 2,3 %-ი, ტრანსპორტის მოვლა შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯებზე 152163 ლარი შეადგინა, ხარჯების 1,7 %-ი, სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 485489 ლარი,

მიმდინარე ხარჯების 5,6 %-ი. 53650 ლარი ჩარიცხულია მუნიციპალური განვითარების ფონდის ნაგავშიდებისა ურნების შექმნაზე აღებული კრედიტის სარგებლის პროცენტი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

#### **ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:**

- 1) „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.
- 2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.
- 3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
- 4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი.

**სხდომის თავმჯდომარემ, ვლადიმერ ნანაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 8 წევრი.**

**მომხრე ბიუროს 8 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

#### **სხვადასხვა საკითხები:**

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ჩახვამძემ** უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომ ქალაქის N1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე კატასტროფულად დაზიანებულია სანიაღვრე არხი და მომრავლებულია მაწანწალა ძაღლები, ასევე მოსაწესრიგებელია ასფალტის საფარი მერიის, საფეხბურთო კლუბ „გურიას“ ცენტრალური სტადიონის და რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიებზე.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** აღნიშნა, რომ თითქმის ყველა ცხაური და სანიაღვრე არხი, რომელიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით არის გაკეთებული, უხარისხობის გამო გამოსულია მწყობრიდან და ხელახლა გასაკეთებელია. ქალაქის ყველა ქუჩაზე მოსაწესრიგებელია ასფალტის საფარი. იგი ასევე უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ

მოუვლელია გურული მხედრის, ე.წ. „პრინც ლუკა ჩხარტიშვილის“ სასაფლაო გვიმბალაურში.

სხდომის თავმჯდომარე **ვლადიმერ ნანაძე** დაინტერესდა, თუ რატომ შეჩერდა ქალაქში რაგბის სტადიონის მშენებლობა.

საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარემ **კახაბერ ასკურავამ** განმარტა, რომ რაგბის სტადიონის მშენებლობა ახლა სოფელ ქვიანში იგეგმება. იგი ასევე უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ საბავშვო ბაღების ხორციით მომარაგების ტენდერი მოიგო საეჭვო რეპუტაციის მქონე ფირმამ, რომელზეც სურსათის უვნებლობის სამსახურს დადებული აქვს უარყოფითი დასკვნა. კახაბერ ასკურავა ასევე დაინტერესდა თუ რატომ არ ხდება იმ თანამშრომლების წახალისება ფულადი ჯილდოთი წელიწადში ერთხელ დღესასწაულთან დაკავშირებით, თან როგორც ინფორმაცია მაქვს რამდენიმე თანამშრომელზე გაიცა დანამატი და საინტერესოა რატომ არ გაგრძელდა დანამატების გაცემა, მითუმეტეს მათი ხელფასი ისედაც მიზერულია და მასზე ოჯახებია დამოკიდებული. კახაბერ ასკურავას ამ წინადადებას დაეთანხმნენ ბიუროს სხვა წევრებიც. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანი განმარტა, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონი არ იძლევა ყველა თანამშრომელზე ერთდროულად დანამატის გაცემის შესაძლებლობას, მაგრამ საჯარო მოხელეს ნამდვილად სჭირდება წახალისება და ეს შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** აზრით, არასწორია ყველა თანამშრომელზე დანამატის გაცემა და თვლის, რომ სტიმული უნდა მიეცეს მხოლოდ წარმატებულ მოხელეს.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- მწვანეები“ თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა სოფელ ქვიანის სასაფლაოს ტერიტორიის გაფართოების მიზნით, ადგილობრივმა მოსახლეობამ მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით შეიძინოს კერძო საკუთრებაში არსებული, სასაფლაოს მოსაზღვრედ მდებარე მიწის ნაკვეთი, რადგან იქ უკვე აღარ არის ადგილი ახალი საფლავის გასაკეთებლად. მან ასევე გამოთქვა მოსაზრება საფეხბურთო კლუბ „გურიას“ ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის საფარის მოწესრიგებაში ჩინელების ჩართვასთან დაკავშირებით, რადგან ამ ტერიტორიაზე ინტენსიურად გადაადგილდება ჩინური კომპანიის საკუთრებაში მყოფი მძიმეწონიანი ავტომობილები.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანი ბიუროს წევრებს გააცნო მოქალაქე ირაკლი მახარაძის ინიციატივა, რომელიც [lanchkhuti.gov.ge](http://lanchkhuti.gov.ge)-ზე შემოსულია ელექტრონული პეტიციის სახით, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინ არსებული ტერიტორიისთვის „გურული მხედრების მოედნის“ სახელწოდების მინიჭების თაობაზე. ამირან გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მიმართა თხოვნით, რომ ეს საკითხი საკრებულოს მიერ იქნას მომზადებული, ვინაიდან ზემოხსენებული პროცედურები გაიწელება დროში. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თქმით, ვინაიდან ლანხუთის ვებგვერდზე უკვე დარეგისტრირებულია პეტიცია და დაწყებულია



ხმის მიცემა, არ არის მიზანშეწონილი ამ საკითხის საკრებულოს მიერ დამატებით ინიცირება. ამასთან, ამ ინიციატივას თვითონაც ეთანხმება და აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია მოქალაქეების ჩართულობა მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში. მან ასევე მიმართა მუნიციპალიტეტის მერს ალექსანდრე სარიშვილს, რომ მერიის შესაბამისმა სამსახურმა დროულად მოამზადოს სამართლებრივი აქტის პროექტი გარევაჭრობის პრობლემის მოსაგვარებლად და შემოიტანოს საკრებულოს 25 აპრილის სხდომაზე. ის ასევე უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ დაგვიანდა და შესაბამისად, არაეფექტური იქნება ფაროსანას საწინააღმდეგოდ გასატარებელი ღონისძიებები, მაშინ როცა სახელმწიფო საკმაო რაოდენობით თანხას ხარჯავს ამ საკითხის მოსაგვარებლად.

მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ**, N1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სანიაღვრე არხის გაწმენდასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს საკითხი მოიცავს გარკვეულ სირთულეებს, მერიის შესაბამისმა სამსახურმა მიმართა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას და მიმდინარეობს საკითხის შესწავლა. ლანჩხუთის მოსახლეობის დაახლოებით 90% დგას ამ პრობლემის წინაშე, რადგან ქალაქში არ არის ცენტრალური კანალიზაცია. ამ პრობლემის მოსაგვარებლად გარკვეული სამუშაოები დაწყებულია და საჭიროა დაახლოებით 10-15 მილიონი ლარი. ცენტრალურ ქუჩებზე ასფალტის საფარის მოსაწესრიგებლად წელს გამოყოფილია 47 000 ლარი, რაც არ არის საკმარისი იმ ექვსი ქუჩის მოსაწესრიგებლად, რომელთა სარეაბილიტაციოდ მომზადებულია პროექტი. პირველ რიგში დაიწყება თავისუფლების ქუჩის მოწესრიგება, რადგან ეს ქუჩა ყველაზე მეტად არის დატვირთული და საჭიროებს 43 000 ლარს. დარჩენილი 4000 ლარი შეიძლება გამოვიყენოთ ჩხაიძის ქუჩის ერთი მონაკვეთის შესაკეთებლად, რომელიც ჯდება 2500 ლარი, რადგან ეს თანხა სხვა ქუჩების რეაბილიტაციისთვის არ არის საკმარისი. ექვსივე ქუჩის მოსაწესრიგებლად საჭიროა დაახლოებით კიდევ 47 000 ლარის დამატება. მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის თქმით, არის შანსი იმისა, რომ როცა საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლები ჩამოვლენ ლაშისღელის ხიდიდან ორაგვისღელის ხიდამდე გზის მონაკვეთის რეაბილიტაციისთვის პროექტის მოსამზადებლად, მერიის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციაც ჩაემატოს, რადგან ეს უკანასკნელი არ საჭიროებს დიდ თანხას ზემოხსენებულ პროექტთან შედარებით.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩინურ კომპანიებთან ერთად შემოსულია სხვადასხვა კომპანიები და მათი მძიმეწონიანი ავტომობილების გადაადგილება აზიანებს ასფალტის საფარს ქალაქის სხვადასხვა ქუჩებში. ამ ავტომობილების საპარკინგოდ საჭიროა გამოიყოს ერთი კონკრეტული ადგილი. მან ასევე განმარტა, რომ შეუძლებელია მუნიციპალიტეტის მიერ კერძო სასაფლაოების მოვლა.

მუნიციპალიტეტის მერი გამოეხმაურა ბაღებში ხორციტ მომარაგების ტენდერის საკითხს და განმარტა, რომ მისთვისაც გაუგებარია, თუ რატომ აღებინებენ ტენდერში მონაწილეობას მსგავსი რეპუტაციის მქონე ფირმებს. მისი თქმით, საქმის კურსში ყავს ჩაყენებული ყველა სამსახური, ვისაც ხელეწიფება ამ საქმის კონტროლი და მისი მხრიდან დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში იქნება მკაცრი რეაგირება. ამასთან, აღნიშნა, რომ

გურიის რეგიონში ყველაზე დიდი ხელფასები აქვთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბაღების თანამშრომლებს და ამ ეტაპზე შეუძლებელია ხელფასების ზრდა. მან აქვე აღნიშნა, რომ ფაროსანას საწინააღმდეგოდ ჩასატარებელი ღონისძიებები დაიწყება 22 აპრილიდან და შარშანდელთან შედარებით წელს ამ კუთხით სიტუაცია გაუმჯობესებულია. შესაბამის სამსახურებს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე გადასცა ფერომონები და მოხდება მათი განთავსება საჭირო ადგილებზე.

**ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

ვლადიმერ ნანაძე



სხდომის თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო